საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2269-03
28/11/2022

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტიდან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის სტუდენტ კანდიდატთა რეგისტრაციის, არჩევნების ჩატარების ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-14 მუხლის, მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-3 და მე-4 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტიდან სტუდენტური კვოტიდან ორ ვაკანტურ ადგილზე;
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტიდან წარმომადგენლობით საბჭოში წარმომადგენლობით საბჭოს წევრობის სტუდენტ კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 29 ნოემბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5);
3. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული რეგისტრაციის გასავლელად კანდიდატმა უნდა შეავსოს თანდართული განაცხადის ფორმა (დანართი 1). განაცხადს თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:

   ა) კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

   ბ) ცნობა აკადემიური მოსწრების შესახებ.
4. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს კანდიდატი სტუდენტური კვოტიდან უნდა იყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, უნდა ქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება - საუნივერსიტეტო რეიტინგის მიხედვით არანაკლებ 91 ქულისა და არ უნდა იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენელი.;
5. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს

საჩივრის მიღებიდან 2 დღის ვადაში;

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას 2022 წლის 7 დეკემბრამდე მიაწოდოს აქტიურ სტუდენტთა სია, პირადი ნომრის მითითებით;

7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტიდან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის სტუდენტ კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2022 წლის 16 დეკემბერს.

8. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის(სტუდენტები) კანდიდატთა არჩევნებში მონაწილეობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ყველა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. თუ სტუდენტი ირიცხება ერთდროულად უნივერსიტეტის ერთზე მეტ ფაკულტეტზე/სკოლაში, ის შეიყვანება იმ ფაკულტეტის/სკოლის სიაში, სადაც სწავლობს Major პროგრამაზე.

9. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილეს ირინე ბაზღაძეს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის საჯარო წესით გაცნობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტუდნეტებისათვის ,,არგუსის“ მეშვეობით;

10. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

11. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას, იურიდიულ სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი